



საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს „გიორგი ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2023 წლის 15-16 ივნისს, საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს **ქ. კახიძის** ფუტკარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ **ქ. ამ** საქმეში დავის საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ჩხრევის შესახებ განჩინების გასაჩივრების 48 საათიანი ვადა აითვლება არა ამ განჩინების იმ პირისათვის ჩაბარების მომენტიდან, რომლის საკუთრებაშიც ჩატარდა ჩხრევა, არამედ - ჩხრევის დასრულების მომენტიდანვე.

სარჩელის მიხედვით, მოსარჩელის საკუთრებაში ჩატარდა ჩხრევა. ჩხრევის დაწყების მომენტში გიორგი ფუტკარაძისათვის არ გადაუციათ ჩხრევის შესახებ სასამართლოს განჩინება. განჩინება მან გამოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოდან და იგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლოდან განჩინების მიღების მომენტიდან უკვე გასული იყო 48 საათიანი ვადა, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ვადის დარღვევით შეტანილი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

საია მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი (სამართლიანი სასამართლოს უფლება) ირღვევა იმით, რომ ჩხრევის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გასაჩივრების 48 საათიანი ვადა აითვლება არა მხარისათვის მისი ჩაბარების მომენტიდან, არამედ - ჩხრევის დასრულების მომენტიდან. პირმა, რომელსაც აქვს ამ საკითხზე მიღებული განჩინების გასაჩივრების უფლება, ამ ვადის ფარგლებში შეიძლება ვერც კი ჩაიბაროს განჩინება და შესაბამისად, მხარის დავალდებულება გაასაჩივროს ის განჩინება, რომელიც შეიძლება ჩაბარებულიც არ ჰქონდეს პირს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გარანტირებულ გასაჩივრების უფლებას.

ამ საქმეს საია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აწარმოებ